

ივან სლივიცკი ქართული კულტურის მკვლევარი

მაკა დოლიძე

ფილოლოგიის დოქტორი(ჟურნალისტიკა)

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის

უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2024.10.01.14>

აბსტრაქტი

1846 წელს თბილისში დაარსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო რუსულენოვანი გაზეთი „კავკაზი“ („Кавказ“), რომლის რედაქტორი იყო ო. კონსტანტინოვი. გაზეთის მიზანი იყო გაეშუქებინა ის მოვლენები, რაც კავკასიაში და მეზობელ ქვეყნებში ხდებოდა. გაზეთი „კავკაზი“ დიდ ადგილს უთმობდა პოლონეთს და პოლონელ ხალხს. იბეჭდებოდა კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების ნაწარმოებები. გაზეთმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართულ-პოლონური ურთიერთობის განმტკიცებაში.

1850 წლიდან გაზეთს რედაქტორობდა პოლონელი ივან სლივიცკი. შესაძლებელია, გაზეთ „კავკაზში“ ივან სლივიცკის რედაქტორობის ორი პერიოდი გამოვყოთ: პირველი -1850-1854 წლები. ეს ის პერიოდია, როდესაც ფოსტა რუსეთიდან მთელი კვირის განმავლობაში არ მოდიოდა და რედაქტორს უწევდა ხელმისაწვდომი მასალებით დაკმაყოფილება. ხშირად მუშაობდა თითქმის მარტო, დამოუკიდებლად. ამ პერიოდში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში იგრძნობა გულწრფელი სითბო და ამავე დროს მკაცრი ტონი.

მეორე პერიოდი - 1868-1871 წლები. გაზეთში ძირითადად იბეჭდებოდა პოლიტიკური სიახლეები, სახელმწიფო განკარგულებები, ბრძანებები. ამ პერიოდში ივან სლივიცკი თავს ცუდად გრძნობდა, თითქმის მუდმივად განიცდიდა ნერვიულ აშლილობას, ხშირად აპათიურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ

მიუხედავად ამისა საკუთარ თავს აიძულებდა მთელი ძალითა და პასუხისმგებლობით ეშრომა.

1848 წელს გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ივან სლივიცკის პუბლიკაცია „მანგლისის ტადარი და ალგეთის მღვიმეები“. ივან სლივიცკი ეხება მნიშვნელოვან საკითხს საქართველოში უძველესი ძეგლების შესწავლას და სამშენებლო წარწერებს. საუბრობს მანგლისის ტადარზე და წერს, რომ ტადარს მხარდაჭერა ჭირდება ფეხზე რომ დადგეს და საუკუნეებს გაუძლოს. პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ მანგლისის ტადარი მეოთხე საუკუნეში აიგო და ყურადღებას ამახვილებს არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერის თარიღზე.

არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერაზე მსჯელობა დღესაც საკმაოდ აქტუალურია. ივან სლივიცკის არგუმენტები და დასკვნები იმდენად საყურადღებოა, რომ ბევრი თანამედროვე მეცნიერი იზიარებს მის მოსაზრებებს.

საკვანძო სიტყვები ქართულ-პოლონური ურთიერთობა, კავკასია და საქართველო, უძველესი ძეგლები, სამშენებლო წარწერა

Ivan Slivitzky, Georgian culture researcher

Maka Dolidze PhD

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

In 1846, a socio-political and literary Russian-language newspaper, “Kavkaz” (“Кавказ”), was founded in Tbilisi, the editor of which was O. Konstantinov. The newspaper aimed to cover events occurring in the Caucasus and neighboring countries. A significant portion of the newspaper's content was dedicated to Poland and the Polish people, publishing works by Polish writers who had settled in the Caucasus and Georgia. The newspaper played a notable role in strengthening Georgian-Polish relations.

From 1850, the editor of “Kavkaz” was the Polish writer Ivan Slivitsky. Slivitsky's tenure as editor can be divided into two periods. The first, from 1850 to 1854, was marked by challenges such as the irregular arrival of mail from Russia, often causing him to rely solely on available

materials. During this time, he worked almost entirely independently, and his publications reflected both genuine warmth and a strict tone.

The second period, from 1868 to 1871. Political news, state decrees, and orders. During this time, Slivitsky was in poor health, suffering from nervous exhaustion and frequent apathy. Despite these challenges, he forced himself to continue working with full dedication and responsibility.

In 1848, Kavkaz published Slivitsky's article The Manglisi Church and the Caves of Algeti. In this publication, he addresses the important topic of studying ancient monuments and construction inscriptions in Georgia. He discusses the Manglisi Church, noting that it requires support to remain standing and endure the centuries. Slivitsky highlights that the church was built in the 4th century, drawing attention to the construction inscription by Arsen Mangleli.

The discussion surrounding Arsen Mangleli's construction inscription remains relevant today. Slivitsky's arguments and conclusions are still considered significant, with many contemporary scholars endorsing his views.

Keywords Georgian-Polish relations, Caucasus and Georgia, Ancient monuments, Construction inscription

1846 წლის 5 იანვარს მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით თბილისში დაარსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო რუსულენოვანი გაზეთი „კავკაზი“ („Кавказ“), რომლის რედაქტორი იყო ო. კონსტანტინოვი. გაზეთის მიზანი იყო გაეშუქებინა ის მოვლენები, რაც კავკასიაში და მეზობელ ქვეყნებში ხდებოდა. გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა პოლონეთს და პოლონელ ხალხს. იბეჭდებოდა კავკასიასა და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების ნაწარმოებები. გაზეთმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართულ-პოლონური ურთიერთობის განმტკიცებაში.

1850 წლიდან გაზეთს რედაქტორობდა ივან სლივიცკი. ივან სლივიცკი პოლონელი იყო. 1820 წელს დაიბადა ოდესაში. განათლება მიიღო ოდესის რიშელიეს ლიცეუმში. 1846 წელს ჩამოვიდა კავკასიაში და მუშაობა დაიწყო ერევნის პოლკში.

1848 წლიდან ივან სლივიცკი გაზეთ „კავკაზში“ ბეჭდავდა პუბლიკაციებს საქართველოსა და ქართველების შესახებ, გადმოსცემდა ხალხურ ლეგენდებს, საუბრობდა კავკასიელი ხალხის სადღესასწაულო რიტუალებზე და აცნობდა მკითხველს კავკასიურ ცხოვრებას.

„კავკაზი“ ახალ ლიტერატურულ ცხოვრებას იწყებს; იგი მკითხველს კავკასიის შორეულ ადგილებს გააცნობს და უფრო მეტად დააკმაყოფილებს თავისი მკითხველების, აზიელებისა და ევროპელების მოთხოვნილებებს. კავკასიის მეფისნაცვლის მფარველობის მოპოვებით გაზეთი მოიპოვებს მეტ სახსრებს და გაამართლებს მკითხველთა და თვით გრაფ მ. ვორონცოვის მოლოდინებს” - წერდა ივან სლივიცკი [1]

შესაძლებელია, გაზეთ „კავკაზში“ ივან სლივიცკის რედაქტორობის ორი პერიოდი გამოვყოთ: პირველი -1850-1854 წლები. ეს ის პერიოდია, როდესაც ფოსტა რუსეთიდან მთელი კვირის განმავლობაში არ მოდიოდა და რედაქტორს უწევდა ხელმისაწვდომი მასალებით დაკმაყოფილება. ხშირად მუშაობდა თითქმის მარტო, დამოუკიდებლად. ამ პერიოდში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში იგრძნობა გულწრფელი სითბო და ამავე დროს მკაცრი ტონი.

მეორე პერიოდი - 1868-1871 წლები. გაზეთში ძირითადად იბეჭდება პოლიტიკური სიახლეები, სახელმწიფო განკარგულებები, ბრძანებები. ამ პერიოდში ივან სლივიცკი თავს ცუდად გრძნობდა, თითქმის მუდმივად განიცდიდა ნერვიულ აშლილობას, ხშირად აპათიურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა საკუთარ თავს აიძულებდა მთელი ძალითა და პასუხისმგებლობით ემრომა. „საოცარი შესაძლებლობების მქონე ადამიანი“ - ასე იხსენებდა ივან სლივიცკის თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ვ. ჟელიხოვსკი.[2]

1848 წელს გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება ივან სლივიცკის პუბლიკაცია „მანგლისის ტაძარი და ალგეთის მღვიმეები“. პუბლიცისტი საუბრობს ქართული ტაძრების შესახებ, რომლებიც ქართველი ხალხისათვის მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია. ის ცდილობს გაარკვიოს თითოეული ტაძრის როლი და დანიშნულება და ყურადღებას ამახვილებს ქაშვეთის ეკლესიაზე, რომელსაც ერთ

- ერთ ღირშესანიშნავ ძეგლად მოიხსენიებს და გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას.

ივან სლივიცკი გვაწვდის მრავალ ფაქტს ტაძრების მშენებლობასთან დაკავშირებით. გვესაუბრება ძველი დროის მშენებლების შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ ისე აეშენებინათ ტაძარი, რომ ათასწლეულებისთვის გაეძლო და მიუწვდომელი ყოფილიყო ცეცხლისა და მახვილისათვის. „უზარმაზარი ქვების ნაცვლად უპირატესობას პატარა ქვებს ანიჭებდნენ და ერთმანეთთან მაღალი ხარისხის ცემენტით აკავშირებდნენ, გუმბათისა და სახურავის კამარები მიწისა და კენჭების სქელი ფენით იყო დაფარული“ - წერს ივან სლივიცკი. [3]

ივან სლივიცკი ეხება მნიშვნელოვან საკითხს საქართველოში უძველესი ძეგლების შესწავლას და სამშენებლო წარწერებს. ყურადღებას ამახვილებს მანგლისის ტაძარზე და წერს, რომ ტაძარს მხარდაჭერა ჭირდება ფეხზე რომ დადგეს და საუკუნეებს გაუძლოს.

ივან სლივიცკი საუბრობს სიტყვა მანგლისის მნიშვნელობაზე და აცხადებს „სიტყვა მანგლისი რაღაცით ჰგავს ბერძნულს; მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველებმა არ იციან.“[4]

არა და, ბერძნული „მონე ეკლესიადან“ წარმომდგარი სახელწოდების ვერსია სრულად მიუღებელია. მეცნიერების აზრით სიტყვა მანგლისი მოდის სიტყვა ნამგალისგან. მათი ვარაუდით, სიტყვის ისტორია ამგვარად გამოიყურება - ნამგალი-ის-ი – ნამგლ-ის-ი – მანგალ-ის-ი – მანგლ-ის-ი. [5]

ივან სლივიცკი აღნიშნავს, ქართველი მემკვიდრე მანგლისს პირველად მაშინ ახსენებს, როდესაც საქართველოს მეფის მირვანის თუ მირიან II -ის შესახებ საუბრობს. აქ პუბლიცისტი მირიან მესამეს გულისხმობს, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართველთა გაქრისტიანება და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. აქვე ასახელებს წმინდა ნინოს, რომელსაც მოიხსენიებს - „წმინდა ნინა ან ნონო“. გვიყვება როგორ შემოვიდა საქართველოში და როგორ გაავრცელა ქრისტიანობა.

ივან სლივიცკი ყურადღებას ამახვილებს მარი ბროსეზე, რომელიც ნაშრომში „საქართველოს უძველესი ძეგლების შესწავლის აუცილებლობა და საჭიროება“ აცხადებს, უძველესი ძეგლები საკმაოდ მნიშვნელოვანია ცალკეული

ხალხებისათვის, როგორც გარკვეული დოკუმენტები „აზნაურებისა და კერძო პირებისთვის.“ [3]

მარი ბროსემ 1847-1848 წლებში არქეოლოგიური მოგზაურობა ჩაატარა საქართველოსა და სომხეთში. მან ბევრი ისტორიული ძეგლი მოინახულა, რომელთა შესახებ თავის წერილებსა და მოხსენებებში წერდა. რაც შეეხება მანგლისის ტაძარს, ეს ტაძარი მარი ბროსეს არ უნახავს. თუმცა განიხილავს მანგლისის ტაძრის წარწერებს და ყურადღებას ამახვილებს არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერაზე, რომლის შესახებაც ცნობა მიხეილ ჩუბინაშვილმა მიაწოდა.

მარი ბროსესაგან განსხვავებით ივან სლივიცკიმ მოინახულა მანგლისის ტაძარი, თავისი თვალთ ნახა ყველაფერი ის, რის შესახებაც გვესაუბრება. „მერამდენჯერმე მიწახავს ტაძარი, აღდგომის მეორე დღესაც ვესტუმრე“ - აცხადებს ივან სლივიცკი.[4]

მანგლისის ტაძრის სილამაზით აღფრთოვანებული ცდილობს გაამძაფროს თავისი შთაბეჭდილებები და მკითხველს ემოციური გრძნობა გაუღვივოს. „ეკლესიის გარე ხედი, მიუხედავად მცირე მოყვანილობისა, გაგაოცებს თავისი საზეიმო-პირქუში განწყობილებით“ - წერს პუბლიცისტი.[3]

ივან სლივიცკი არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერასაც გაეცნო. მისი აზრით წარწერაზე იკითხება შემდეგი სიტყვები „ღმერთო შეიწყალე ამისი ამშენებელი მანგლელი ეპისკოპოზი არსენ ოსტატი თებერვლის გ. ქორონიკოს სტნ“[3]

ივან სლივიცკი ხაზს უსვამს არსენ მანგლელის საქმიანობას. მან მანგლისის მონასტრის გალავანი ააგო. „საკურთხევლის წინ აღმართული ერთნახევარი არშინის კედელი, დიდი ალბათობით, მოგვიანებითაა მიშენებული; ქვებისა და აგურის არასწორად დაგება, გამორიცხავს მის სიძველეს“ - აღნიშნავს ივან სლივიცკი.[3]

პუბლიცისტი საუბრობს მანგლისის ტაძრის მშენებლების კეთილსინდისიერებაზე. სწორედ მათი დამსახურებით ტაძარმა ათასწლეულებს გაუძლო. მტრის შემოსევებისა და სტიქიური უბედურებების მიუხედავად ტაძარი დღესაც შეურყეველია და იმისათვის რომ დროს გაუძლოს „მანგლისის ტაძარი მოითხოვს ცოტაოდენ მხარდაჭერას, რამდენიმე მუჭა ოქროს“ - აცხადებს ივან

სლივიცკი.[3] მან კარგად იცის რომ ამ საქმეში ახალგაზრდებს ვერ გამოიყენებს, მათ სულ სხვა ინტერესები აქვთ. პუბლიცისტმა საინტერესოდ წარმოაჩინა თავისი დამოკიდებულება საქართველოსადმი და სინანულით აცხადებს „ქვის გვერდი გაფანტულია, ქართველების იდუმალი ისტორია ყურადღების გარეშე რჩება.“[3]

ივან სლივიცკი ძალ-ღონეს არ ზოგავს ქართული ტაძრების დასაცავად, ცდილობს მკითხველს დაანახოს თუ რა მდგომარეობაა ტაძარში. მართლაც შემაფოთებელია ის გარემოება, რაც ტაძრის შიგნითაა: ჭკვარტლის კვამლი, კედლებიდან ჩამოყრილი ნაგავი, ქვები, ნახირის ნაკვალევი, რომლებიც მწყემსებს შემოჰყავდათ გასაპარსად. პუბლიცისტი ხაზგასმით აცხადებს, რომ ეს მწყემსები მუსულმანები არიან, ეტყობა გულისხმობს მუსულმანებს. ივან სლივიცკი განმარტავს, რომ ისინი თათრული მხარისა და ფშავ-თუშეთის რაიონის მცხოვრებლები იყვნენ, რომლებიც ნახირთან ერთად გადაადგილდებოდნენ ქართლის მთებზე და თბილისის მიდამოებში.

პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ მანგლისის ტაძარი მეოთხე საუკუნეში აიგო და ყურადღებას ამახვილებს არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერის თარიღზე. ივან სლივიცკი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სწორი ანალიზისა და შეფასების გამოყენებით ამ წარწერას 1667 წლის 3 თებერვლით ათარიღებს.

არსენ მანგლელის სამშენებლო წარწერაზე მსჯელობა დღესაც საკმაოდ აქტუალურია. ივან სლივიცკის არგუმენტები და დასკვნები იმდენად საყურადღებოა, რომ ბევრი თანამედროვე მეცნიერი იზიარებს მის მოსაზრებებს. ივან სლივიცკი გარდაიცვალა თბილისში 1874 წლის 9 თებერვალს.

ლიტერატურა

1. ГАЗ. „Кавказ“, 1852 №20, 8 СЕНТЯБРЯ;
2. ГАЗ. „Кавказ“, 1874 №25, 27 Февраля;
3. ГАЗ. „Кавказ“, 1848 №37, 11 СЕНТЯБРЯ;
4. ГАЗ. „Кавказ“, 1848 №38, 18 СЕНТЯБРЯ;
5. ქართულ ტოპონიმთა ეტიმოლოგია
https://www.facebook.com/groups/546713099184619/posts/649548845567710/?paipv=0&eav=Afacydm854g4FoUMFH0ey127eG195solnEIdH_TJUMF5qFPEL-eH7X-oNStsHRHtt0&_rd=1

